1.რომელია ქიმიური რეაქციის ნიშნები?

ა)სუნის წარმოქმნა

ბ)აირის გამოყოფა

გ)ფერის ცვლილება

დ)ელექტრული დენის წარმოქმნა

ე) დასხივება

2.დალექვის გზით ნარევიდან შეიძლება გამოვყოთ:

ა)შაქარი შაქრიანი წყლიდან

ბ)მარილი მარილიანი წყლიდან

გ) ქვიშა ქვიშიანი წყლიდან

დ) თიხა თიხიანი წყლიდან

3.მოიყვანე შესაბამისობაში:

ა) ქიმიური მოვლენა;

ბ) ფიზიკური მოვლენა;

გ) ნარევი;

დ) ერთგვაროვანი ნარევი;

ე) არაერთგვაროვანი ნარევი.

1 ნარევი, რომლის შემადგენელი ნაწილაკების თვალით ან ოპტიკური ხელსაწყოებით აღმოჩენა ან განსხვავება შეუძლებელია, რადგან ნივთიერებები მეტად დაქუცმაცებულ მდგომარეობაში არიან.

2 მოვლენა, რომლის დროსაც ნივთიერება სხვა ნივთიერებად გარდაიქმნება.

4 ნარევი, რომლის შემადგენელი ნაწილაკების შემჩნევა შესაძლებელია თვალით თუ არა, ოპტიკური ხელსაწყოთი მაინც.

3 რამდენიმე ნივთიერების ერთობლიობა.

5 მოვლენა, რომლის დროსაც იცვლება სხეულის ფორმა, ზომა, ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა, მაგრამ ნივთიერება უცვლელი რჩება.

LIVEWORKSHEETS

4. ერთმანეთს დაუკავშირე ნივთიერება და მისგან დამზადებული სხეული:

სხეული

1. სუფრის მარილის კრისტალი;
2. ლურსმანი;
3. წყლის წვეთი;
4. ზეთის წვეთი;
5. ალუმინის კოვზი;
6. სპილენძის სადენი;
7. შაქარყინული.

ნივთიერება

ა) სუფრის მარილი;

ბ) მცენარეული ცხიმი;

გ) ალუმინი;

დ) რკინა;

ე) შაქარი;

ვ) წყალი;

ზ) სპილენძი.

5.დააკვირდი სურათებს და დააჯგუფე ისინი ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებად. ცხრილის შესაბამის გრაფაში ჩაწერე მხოლოდ ფოტოს ნომერი:

ფიზიკური მოვლენები	ქიმიური მოვლენები

6. მიაწერე რა სახის ენერგია აქვთ სურათებზე მოცემულ სხეულებს

LIVEWORKSHEETS

1

2

3

4

5

6

7

8

9

7. სურათის მიხედვით დაადგინე რა სახის ენერგიად გარდაიქმნება ელექტრული ენერგია

8.დაასრულე წინადადებები:

ა) მოძრავ სხეულებს აქვთ _____ ენერგია;

ბ) ქვანახშირს დაწვამდე აქვს _____ ენერგია, რომელიც წვის პროცესში გარდაიქმნება _____ და შემდეგ _____ ენერგიებად.

გ) მდინარეს _____ ენერგია აქვს.

LIVEWORKSHEETS

9.მიკრობებიდან ინფექციურ დაავადებებს იწვევს:

A – წყალმცენარეები
B – ვირუსები
C – სოკოები
D – ბაქტერიები

10.შეავსე მიკროორგანიზმების გამომსახველი სქემა:



11.ხაზებით დააკავშირე პროდუქტი მისი შენახვის წესთან:

12. გამოფიტვა არის:

ა) დედამიწის ზედაპირიდან ქარის ზემოქმედებით ტენის აორთქლების პროცესი;
ბ) დედამიწის შინაგანი ძალის ნეგატიური შედეგები;
გ) ქარის მიერ ღრუბლების გაფანტვა;
დ) ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით ქანების ნგრევისა და დაშლის პროცესი.

LIVEWORKSHEETS

13. რისი საშუალებით დაადგენ მთის სიმაღლეს რუკაზე?

ა) ეკვატორის;
ბ) სიმაღლეებისა და სიღრმეების სკალით;
გ) მასშტაბით;
დ) ყველა პასუხი მართებულია.

14. რა ფერითაა აღნიშნული რუკაზე დაბლობი?

ა) ცისფრად;
ბ) ყვითლად;
გ) მწვანედ;
დ) ყავისფრად.

15. ხრამების წარმოქმნის მიზეზია:

ა) ვულკანების ამოფრქვევა;
ბ) დენადი წყლის მოქმედება;
გ) ქარის მოქმედება;
დ) მზის სხივების მოქმედება.

16. დედამიწის უმაღლესი მწვერვალია:

ა) იალბუზი;
ბ) აკონკაგუა;
გ) მონბლანი;
დ) ევერესტი.

17. რუკაზე რომელი ასოთია აღნიშნული ანდების მთები:



LIVEWORKSHEETS

18. სურათის მიხედვით განსაზღვრე, რას უდრის სხეულის მოცულობა



19. რას უჩვენებს სურათზე გამოსახული წამზომი?



20. რას უდრის სურათზე ნაჩვენები თერმომეტრის დანაყოფის ფასი?

ა) 1°C;

ბ) 2,5°C;

გ) 1,5°C;

დ) 2°C;

ე) 4°C.



LIVEWORKSHEETS